



REDEMOS

RECONFIGURING EU DEMOCRACY
SUPPORT. TOWARDS A SUSTAINED
DEMOS IN THE EU'S EASTERN
NEIGHBOURHOOD

პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 5

დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესის გამოწვევები
და მოთხოვნები სომხეთში, საქართველოში, მოლდოვასა
და უკრაინაში

ვალისის კაროკის-მავრიკოს, თეოფანის ჰექსადაქტილოსი და ლაურა
ჰაპელიდეკემბერი, 2025



Funded by
the European Union

The REDEMOS project has received funding from the European Union's Horizon Europe research and innovation programme under grant agreement No 101061738. The Associated Partner University of Surrey has received funding from UK Research and Innovation (UKRI) under the UK government's Horizon Europe funding guarantee under grant number 10040721. The Associated Partner University of St. Gallen has received funding from the Swiss State Secretariat for Education, Research and Innovation (SERI). Views and opinions expressed are, however, those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union, UKRI and SERI. Neither the European Union nor UKRI or SERI can be held responsible for them.

საკითხის ზოგადი მიმოხილვა

ტრადიციულად, მოლდოვა და უკრაინა და, შედარებით ნაკლებად, სომხეთი და საქართველო განიხილებიან, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს პოლიტიკის ფარგლებში „დემოკრატიზაციის“ გზაზე მდგომი ქვეყნები. ამასთან, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პოლიტიკური რეჟიმები უნდა აღიქმებოდეს არა, როგორც სტატიკური ან მონოლითური, არამედ – როგორც დინამიკური და განვითარებადი. დემოკრატიისათვის საჭირო ეფექტური მხარდაჭერის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია შეფასდეს კონკრეტულ ქვეყანაში რეჟიმის ამჟამინდელი სვლა დემოკრატიის გაძლიერებისკენაა მიმართული თუ ავტორიტარიზმისკენ, ასევე უნდა მოხდეს დემოკრატიული ინსტიტუტების სიმწიფისა და პოლიტიკური რეჟიმის უახლესი ტენდენციების განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინება.

ამრიგად, წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს მაკროდონის დემოკრატიულ მაჩვენებლებსა და ექსპერტულ შეფასებებს, რათა დადგინდეს მოლდოვაში, უკრაინაში, სომხეთსა და საქართველოში რეჟიმების არსებული მდგომარეობა და ტრაექტორია. ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის გაკეთდეს რეგიონში დემოკრატიული ლიდერი ქვეყნების შედარებითი ანალიზი და გამოვლინდეს ძირითადი სისუსტეები, რომლებიც საჭიროებს პოლიტიკურ ყურადღებასა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე.

ძირითადი დასკვნები

რეგიონში ოთხი პოლიტიკური რეჟიმის განვითარების ოთხი განსხვავებული გზა იკვეთება:

- 2020 წლიდან სომხეთში შეინიშნებოდა დემოკრატიული უკუსვლა, რაც გამოიხატა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის თანდათანობით შესუსტებით, საარჩევნო პროცესისადმი ნდობის დაკარგვითა და მასმედიის მიმართ ცენზურის გაძლიერებით.
- საქართველო 2022 წლამდე რჩებოდა სტაბილურ საარჩევნო დემოკრატიად, ამჟამად კი აშკარად ავლენს დემოკრატიული მაჩვენებლების გაუარესებას, რაც გამოიხატება მასმედიის დამოუკიდებლობის შემცირებით, ხელისუფლების მხრიდან წამოსული დეზინფორმაციის ზრდით და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ დაწესებული შეზღუდვებით.
- მოლდოვაში დემოკრატიული განვითარების გზაზე წარმატება კარგად ჩანდა 2019 წლიდან 2022 წლამდე, განსაკუთრებული პროგრესი შეინიშნებოდა საარჩევნო და სასამართლო სფეროში, თუმცა ასევე გამოვლინდა გარკვეული რეგრესის ნიშნებიც, რაც საზოგადოებრივი კონტროლის შესუსტების, რეალიზაციის ხარვეზებისა და მმართველობის შეზღუდული ეფექტურობის შედეგია.
- ომის პირობებში უკრაინამ ინსტიტუციური სტაბილურობა და ლიბერალური დემოკრატიის ინდექსის (LDI) საერთო გაუმჯობესება აჩვენა, თუმცა პრობლემები კვლავაც რჩება, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირებასა და სასამართლო სისტემის პოლიტიზებას უკავშირდება.

პოლიტიკის რეკომენდაციები

- **სომხეთის** შემთხვევაში ევროკავშირმა უნდა გადახედოს ჩართულობისა და ურთიერთქმედების სტრატეგიას, პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სამართლიან არჩევნებზე, დამოუკიდებელ სასამართლოსა და მედიის თავისუფლებაზე, მათი ტექნიკური და ინსტიტუციური მხარდაჭერის უზრუნველყოფით, განსაკუთრებული აქცენტები უნდა გაკეთდეს ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის განუხორციელებელი რეკომენდაციების შესრულებაზე. დახმარება უნდა იყოს ორიენტირებული პოტენციალის გაძლიერებასა და სტრუქტურირებული პოლიტიკური დიალოგის გამართვაზე, რათა აღდგეს საზოგადოების ნდობა და კონსოლიდირებულ იქნეს დემოკრატიული მიღწევები.
- **საქართველოში**, დემოკრატიული რეგრესის ტენდენციის შესაჩერებლად, ევროკავშირმა უფრო მკაფიოდ უნდა ითანამშრომლოს სამართლიანი არჩევნების, მასმედიაში პლურალიზმის, სასამართლოს დამოუკიდებლობის სფეროებში და დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების შესამჩნევ გაუმჯობესებას. სიტუაციურად მორგებული და იმავდროულად კონსტრუქციული მიდგომა – ტექნიკური დახმარების თანხვედრა მტკიცე პოლიტიკურ მოლოდინთან – აუცილებელია ნდობის აღსადგენად და დემოკრატიული ინსტიტუტების დასაცავად.
- **მოლდოვის** შემთხვევაში ევროკავშირმა პრიორიტეტულად უნდა დასახოს ქვეყანაში პროპორციული საარჩევნო სისტემის დაცვა და სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების განმტკიცება მკაცრი ზედამხედველობის, შემოწმებისა და გამჭვირვალობის, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების პირობების ძირითადი ელემენტების, დანერგვით. საჭიროა მიზნობრივი ტექნიკური დახმარება და მკაფიო კრიტერიუმები კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და დემოკრატიული მართვის მოდელისადმი საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად.
- **უკრაინაში** ევროკავშირმა უნდა წახალისოს რეფორმები, რომლებიც გადაანაწილებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, განამტკიცებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და გაძლიერებს ზედამხედველობის ინსტიტუტებს, განსაკუთრებით, ქვეყნის ომისშემდგომი რეკონსტრუქციისთვის პირობების მოსამზადებლად. პირობების მუდმივ დაცვასთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისა და საგამომიებო ჟურნალისტიკის მუდმივი მხარდაჭერა გადამწყვეტ როლს შეასრულებს დემოკრატიული ანგარიშვალდებულების განმტკიცებაში.
- დემოკრატიის მხარდაჭერის პრიორიტეტების თვალსაზრისით, **ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში** ყურადღება უნდა გამახვილდეს ბოლოდროინდელი ავტორიტარული უკუსვლის განმაპირობებელი მიზეზების აღმოფხვრაზე, დემოკრატიული მოძრაობის განახლების ძირითადი ფაქტორების ერთდროული ამოქმედებით. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და სამართლიანი არჩევნების გაძლიერება მუდმივი პრიორიტეტი უნდა იყოს როგორც რეგიონულ დონეზე, ისე მრავალმხრივ ურთიერთობებში, ვინაიდან, მიუხედავად მათი დემოკრატიული განვითარების საერთო დონისა, ეს სფეროები რჩება მთავარ მოწყვლად ადგილებად აღმოსავლეთ სამეზობლოს უმეტეს სახელმწიფოში.

სრული ტექსტი REDEMOS-ის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვის – რეჟიმების კლასტერები და დემოკრატიზაციის გამოწვევები ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: სომხეთი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა – ხელმისაწვდომია ბმულზე: [Policy Papers – REDEMOS](#)



**REDEMOS: REconfiguring EU DEMOcracy Support.
Towards a sustained demos in the EU's Eastern Neighbourhood**

REDEMOS- 101061738
HORIZON-CL2-2021-DEMOCRACY-01-04

Dr Mădălina Dobrescu, NTNU
info@redemos.eu

 redemos.eu  [@REDEMOS_eu](https://twitter.com/REDEMOS_eu)  [REDEMOS Horizon Europe Project](https://www.linkedin.com/company/redemos/)